ბატონო მთავრობის თავმჯდომარეე,

პატივცემულო მთავრობის წევრებო,

პატივცემულო დეპუტატებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის საშემოდგომო სესია გაიხსნა ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე უმნიშვნელოვანესი, ჭეშმარიტად მსოფლიო - ისტორიული მოვლენების ფონზე, როდესაც საქართველო ემზადება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად; როდესაც უკრაინაში გრძელდება რუსეთის მიერ გაჩაღებული ფართომასშტაბიანი ომი მთლიანად ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ; როდესაც კოლექტიური დასავლეთი, რომელიც ადრე სათანადო ყურადღებას არ აქცევდა რუსეთის აგრესიულ ქმედებებს მეზობელი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ, ამჟამად გამოფხიზლებულია, შეკავშირებულია და ცდილობს ერთიანად დაუპირისპირდეს რუსულ ბოროტებას; როდესაც ჩვენს თვალწინ ყალიბდება თუ უნდა ჩამოყალიბდეს ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც ამჯერად მაინც დაფუძნებული იქნება არა „ძალის სამართლის“ პრიმატზე, არამედ საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმებისა და პრინციპების უზენაესობაზე.

უმაღლესი საბჭო მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის ძალისხმევას, რომელიც ევროკომისიის 12 - პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულებისაკენ არის მიმართული. მოგეხსენებათ, ამაზეა დამოკიდებული ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვება, პერსპექტივაში საქართველოს დასავლურ ოჯახში გაწევრიანება. როცა ამ თემაზე ანუ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზეა საუბარი, მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ცივილიზაციურ არჩევანში ჩვენ, ქართველები, უკიდურესად შეზღუდულები ვართ. ჩრდილოელ მეზობელთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მწარე გამოცდილება, ფაშისტურ იდეოლოგიაზე და იმპერიალისტურ მისწრაფებებზე დამყარებული მისი თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკა გვიტოვებს ორიენტაციის ერთადერთ ვექტორს, ერთადერთ გზას - გზას დასავლეთისაკენ, ევროატლანტიკური სივრცისაკენ. მეორე გზა ჩრდილოეთისკენ, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, მოჭრილია თავად რუსეთის უგუნური პოლიტიკის გამო; იმ პოლიტიკის გამო, რომლის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია; რომლის შედეგადაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელდა ქართველთა მასობრივი ეთნიკური წმენდა, გენოციდი; რომლის შედეგადაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, მის მიერ დამტკიცებული მთავრობა და ასეულ ათასობით ჩვენი თანამემამულე დევნილობაში

ვიმყოფებით. ერთი სიტყვით, ჩრდილოეთის ვექტორი საქართველოსათვის, სანამ მას ექნება სურვილი იყოს დამოუკიდებელი და ერთიანი, ანუ სამუდამოდ, კრემლის მიერ ჩარაზულია. კაცმა რომ თქვას, ასეთი ვექტორი, ასეთი გზა უბრალოდ არ არსებობს. სამაგიეროდ, ბევრი ფიქრობს, რომ არსებობს მესამე გზა - ნეიტრალიტეტი! შესანიშნავია და ძალიანაც მოსაწონი, მაგრამ როგორც ჩვენზე ბევრად ძლიერი და განვითარებული ნეიტრალური ქვეყნების - შვედეთისა და ფინეთის მაგალითი გვიჩვენებს, რუსეთის მეზობლობა იმ მესამე გზასაც გამორიცხავს. ამრიგად, შექმნილ ობიექტურ გარემოებათა გამო - იმის გამო, რომ ალტერნატივა არ არსებობს, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია შეიძლება იყოს და არის კიდევაც მხოლოდ დასავლური, მხოლოდ ევროატლანტიკური, რაც კონსტიტუციურადაც (მუხლი 78) დადასტურებულია.

საქართველოს გამთლიანების, ევროატლანტიკურ სივრცეში მისი ინტეგრაციის უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე და უკრაინასთან კულტურულ-ცივილიზაციური ერთობის გათვალისწინებით, უმაღლესი საბჭო გულწრფელად თანაუგრძნობს და მთლიანად უჭერს მხარს უკრაინელი ხალხის ჭეშმარიტად გმირულ ბრძოლას რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ეს თანაგრძნობა და მხარდაჭერა ჩვენმა დეპუტაციამ ცალსახად გამოხატა ომის დაწყების პირველ დღეებში - 11 მარტს გამოქვეყნებული წერილით, 8 აპრილს მიღებული სპეციალური დადგენილებითა და 28 აპრილის ოფიციალური განცხადებით. არაფერს ვამბობთ უმაღლესი საბჭოს მოკრძალებულ წვლილზე და მონაწილეობაზე უკრაინის მხარდამჭერ ჰუმანიტარულ აქციაში.

მიმდინარე წლის 24 თებერვალს დაწყებულ დანაშაულებრივ ომში მოსკოვის ღიად დეკლარირებულ ნამდვილ მიზანს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს უკრაინელი ხალხისა და უკრაინული სახელმწიფოს განადგურება. წარმატების შემთხვევაში რუსეთი აპირებს საბჭოთა კავშირს მიმსგავსებული ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო გაერთიანების შექმნას, რომლის შემადგენლობაში შესვლის სურვილს უკვე ხმამაღლა გამოთქვამენ სოხუმში, თუმცა აფხაზური საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი ამ იდეას არ იზიარებს. ნატოსა და ევროკავშირის პოზიცია, საომარი მოქმედებების დინამიკა, ცალკეულ ფრონტებზე დღეს არსებული მდგომარეობა, ცნობილი ექსპერტების დასკვნები და სხვა მონაცემები იმედს გვისახავენ, რომ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომი უკრაინისა და კოლექტიური დასავლეთის წინააღმდეგ აგრესორის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური კრახით დასრულდება. დიდი ალბათობით, იგივე ბედს გაიზიარებს საბჭოთა კავშირის აღდგენის ყბადაღებული გეგმაც.

მიუხედავად ოპტიმისტური მოლოდინისა, რუსული აგრესია უკრაინის და არა მხოლოდ უკრაინის წინააღმდეგ, მსოფლიოს ბირთვული შანტაჟი კრემლის მხრიდან,

სერიოზულ საფრთხეს უქმნის ევროატლანტიკურ სივრცეს, საყოველთაო მშვიდობას. ვითარება იმდენად კრიტიკულია, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც ნატოს ქოლგის ქვეშ არ იმყოფებიან, პირველ რიგში, საქართველოს, რომლის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია და საოკუპაციო სამხედრო ძალა დედაქალაქთანაა მომდგარი, მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულობა. ჩვენ ხომ რუსეთის სახით საქმე გვაქვს სრულიად არაადექვატურ, არაპროგნოზირებად, დაუნდობელ და ვერაგ მტერთან, რომლისთვისაც არც საერთაშორისო სამართალი არსებობს და არც მორალი. ამიტომაც არის სწორი და ამიტომაც ვუჭერთ მხარს საქართველოს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს უკრაინის მაქსიმალურ პოლიტიკურ და მორალურ თანადგომას, ჰუმანიტარულ დახმარებას, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აგრესორისთვის დაწესებული სანქციების მხარდაჭერას; ევროკომისიის ანგარიშში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ, რომელიც ამა წლის 10 აგვისტოს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო ზომები ევროკავშირის ზოგიერთი სანქციის პრაქტიკაში განსახორციელებლად და სანქციების გვერდის ავლის თავიდან ასაცილებლად. ამასთანავე საქართველოს მთავრობა ცდილობს ქვეყნის ინტერესების დაცვისკენ მიმართული პრაგმატული პოლიტიკის გატარებას. აქედან გამომდინარე, მან უარი თქვა რუსეთისთვის ეროვნული სანქციების დაწესებაზე, რადგანაც იგი მხოლოდ ჩვენს ისედაც სუსტ პოსტკოვიდურ ეკონომიკას დააზარალებდა; ასევე უარი თქვა მხოლოდ კატასტროფის მომტანი მეორე ფრონტის გახსნაზე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ასეთი თხოვნა თუ მოთხოვნა.

აქვე ვისურვებდით, რომ საქართველოს საგარეოპოლიტიკური ორიენტაციისა და უკრაინის საკითხი არ იყოს პარტიათაშორისი მწვავე კონფრონტაციის, უსაფუძვლო ბრალდებებისა და დაპირისპირების საგანი, რაც აზიანებს სახელმწიფო ინტერესებს; პირიქით, ეს თემები უნდა გახდეს მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველი.

ზემოაღნიშნული მოვლენები და პროცესები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე ჩვენთვის ორმაგად საინტერესო და ყურადსაღებია, რადგანაც სერიოზულ გავლენას ახდენენ და მომავალშიც მოახდენენ ვითარებაზე აფხაზეთში, ამ გაჭიანურებული კონფლიქტის დარეგულირებაზე. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში მათზე იყო და ახალ სასესიო პერიოდშიც სწორედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და რუსული აგრესიის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლის წარმატება-წარუმატებლობაზე იქნება დიდწილად დამოკიდებული უმაღლესი საბჭოს საქმიანობა და ამ საქმიანობის შედეგები.

ასეთი რთული საშინაო და საგარეო პირობების მიუხედავად, უმაღლესი საბჭო განვლილი სასესიო პერიოდის განმავლობაში აგრძელებდა მუშაობას საკუთარი

გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ პერიოდში გაიმართა 18 პლენარული და პრეზიდიუმის 26 სხდომა. საერთო ჯამში, განხილულია ოთხმოცამდე საკითხი, მათ შორისაა საკანონმდებლო, პოლიტიკური, ორგანიზაციული, ასევე სხვა მიმდინარე საკითხები. რეგულარულად, რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით, საქმიან ვითარებაში ტარდებოდა უმაღლესი საბჭოს კომიტეტების სხდომებიც. ტრადიციულ მიმართვებში უმაღლესი საბჭოსადმი, როგორც წესი, არ ვეხებით ფრაქციების მუშაობას, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან და საკუთარი დღის წესრიგით მოქმედებენ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ მათი ყოველდღიური, საკმაოდ აქტიური მუშაობა იმსახურებს პატივისცემას და მაღალ შეფასებას.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მთელი სიმძიმე კი, მოგეხსენებათ, კომიტეტებზე გადადის. აპარატში შემოსულია და გავეცანით ინფორმაციებს კომიტეტების მიერ საგაზაფხულო სასესიო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. გარდა ამისა, პლენარულ სხდომებზე მოსმენილი გვაქვს მათი დეტალური ანგარიშები, ამიტომ დღეს არ შევჩერდებით ცალკეული კომიტეტების მუშაობაზე. ყველას კარგად გვახსოვს ხუთივე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი საფუძვლიანი მოხსენებები, ასევე მაღალი შეფასებები კოლეგების მხრიდან და მათ მიერვე გამოთქმული გარკვეული სურვილები, რეკომენდციები მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურების მიზნით. ასევე ყველას კარგად გვახსოვს ის რეკომენდაციები, ამიტომ მათზეც არ ვისაუბრებთ. შევეხებით მხოლოდ ერთ რეკომენდაციას, რომელიც არის საერთო ანუ ეხება ყველა კომიტეტს. ვგულისხმობ საკუთარი პროფილის მიხედვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარების შესწავლას, ამ ვითარების მუდმივ მონიტორინგს, პოლიტიკურ შეფასებას და რეაგირებას. სამწუხაროდ, უმაღლესი საბჭო, მისი კომიტეტები, რომლებიც ბევრს მუშაობენ ენგურს გამოღმა, მიზეზთა გამო, შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ენგურს გაღმა ტერიტორიაზე არსებულ ვითარებას, ამა თუ იმ მიმართულებით საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკის საფუძვლიან შესწავლას და შეფასებას, მათზე რეაგირებას. ამ დროს, მოგეხსენებათ, ჩვენ ენგურს გაღმა ტერიტორიის ლეგიტიმურ ხელისუფლებას წარმოვადგენთ. სამწუხაროდ, არც აფხაზეთის მთავრობა, ცალკეული სამთავრობო დაწესებულებები აქცევენ აღნიშნულ საკითხს ჯეროვან ყურადღებას.

მიგვაჩნია, რომ უმაღლეს საბჭოში უკეთესად უნდა ვფლობდეთ სიტუაციას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის თუ დარღვევის კუთხით; უნდა ვიცნობდეთ შესაბამის დე-ფაქტო კანონმდებლობას, მიუხედავად მისი არალეგიტიმურობისა. მოგეხსენებათ, აფხაზეთში 2018 წლის მარტიდან ჰყავთ რწმუნებული ადამიანის უფლებათა საკითხებში, იგივე დე-ფაქტო სახალხო დამცველი -ასიდა შაკრილი. მისი პირველი ანგარიში 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც 2021 წლის მარტში იქნა წარმოდგენილი აფხაზეთის ე. წ. პარლამენტში, იმავე წლის 12 ივლისს პოზიტიურ კონტექსტში მოიხსენია გაეროს

ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესმა კომისარმა თავის საანგარიშო მოხსენებაში „თანამშრომლობა საქართველოსთან“. არანაკლებ საინტერესო გახლავთ ასიდა შაკრილის 2021 წლის სქელტანიანი ანგარიში, რომელიც 2022 წლის 17 მაისს იქნა წარმოდგენილი. ვთხოვთ ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტს, პირადად ქ-ნ ადა მარშანიას, რომ მან დაავალოს კომიტეტის აპარატს შეისწავლოს და შეაფასოს აღნიშნული ანგარიში, ზოგადად ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა ოკუპირებულ აფხაზეთში და ყოველივე ამის თაობაზე კომიტეტის თავმჯდომარემ მოახსენოს უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ პლენარულ სხდომას. გარდა ამისა, გუშინ, 5 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ მიიღო ადამიანის უფლაბათა დაცვის ახალი სტრატეგია, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ამის შემდეგ ის გახდება სახელმძღვანელო დოკუმენტი ჩვენთვის, განსაკუთრებით კომიტეტისთვის.

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით, კომიტეტის აპარატმა, სასურველია, შექმნას მონაცემთა სრული ბაზა დე-ფაქტო კანონმდებლობის შესახებ, შეისწავლოს და პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მისცეს ამ ე. წ. კანონმდებლობას, თვალყური ადევნოს პერიოდულად მასში განხორციელებულ ცვლილებებს. საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტს, რომელსაც ბატონი ნუგზარ მგალობლიშვილი უდგას სათავეში, ბევრი სამუშაო აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლებისა და კულტურის სფეროში საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკის შეფასებისა და მასზე რეაგირების მიმართულებით, რითაც უნდა დაკავდეს კომიტეტის აპარატი. გარდა ამისა, კომიტეტის წინაშე კვლავაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება ქართულენოვანი დისტანციური სინქრონული და ასინქრონული სწავლების დანერგვა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მივაღწიეთ, რომ დისტანციური, იგივე ციფრული სწავლება გახდეს ქართული სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, თუმცა ამ იდეას თითქოს მხარს უჭერს ყველა, ვისზეც არის დამოკიდებული მისი რეალიზება. ცნობისთვის, მოგახსენებთ, რომ უკრაინელებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკვე დაიწყეს უკრაინულ ენაზე ციფრული სწავლების დანერგვა, ქართველები კი ვაჭიანურებთ დროს, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ ნამდვილად არ მუშაობს. შესაბამისად, კომიტეტმა საკუთარი ძალისხმევა ამ მიმართულებით უნდა წარმართოს. აქვე ვიტყვი, რომ ქალბატონ ნანა კვარაცხელიას ისეთნაირად მიჰყავს ზემოაღნიშნული საპილოტე პროექტი, რომ ის ვერ შეწყდება გალის რაიონში სახელმწიფოს მიერ ციფრული სწავლების ოფიციალურად დანერგვის შემდეგაც. სწორედ ამ პროექტის განხორციელებისთვის გახდა ქ-ნი ნანა „დედამიწის ყველაზე შთამაგონებელი ქალის“ ნომინაციაში გამარჯვებული. ამა წლის 29 მაისს კი ნიუ-

დელიში გამართულ “მომავლის ინოვაციური სწავლების სამიტზე“ მას სპეციალური ჯილდოც გადაეცა, რაც სასიხარულო და საამაყო მოვლენაა ჩვენთვის.

საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ზურაბ ჯგუბურიას, რომელიც საგარეო მიმართულებას კურირებს, ვთხოვთ გააკონტროლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე მონაცემთა ბაზის შექმნის მიმდინარეობა. იგი განთავსებულია უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, მაგრამ არ არის სრულყოფილი, რასაც კომიტეტმა, პირადად ბატონმა ზურაბმა უნდა მიაქციოს ყურადღება.

სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტს, მის თავმჯდომარეს ბატონ რუდიკ ცატავას, მართალია მუდმივი კავშირი და კავშირების მთელი ქსელი აქვს ოკუპირებულ ტერიტორიასთან გაბმული, მაგრამ კომიტეტის აპარატის ვალია ენგურს გაღმა არსებული ჯანმრთელობის სისტემის მდგომარეობის, ოკუპანტების ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი და პოლიტიკური შეფასება. კომიტეტმა, მისმა აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მიმდინარე წლის 4 აგვისტოს რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოსკოვში გაფორმებულ შეთანხმებას 2022-2025 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციაში ხელშეწყობის შესახებ, რომელსაც ოდნავ ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ; თვალყური უნდა მიადევნონ ამ ე. წ. შეთანხმების შესრულების მიმდინარეობას და ყოველივე ამის შესახებ პერიოდულად მოახსენონ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას. რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ბ-ნ მურმან კვარაცხელიას ხელმძღვანელობით საკუთარი ინიციატივით უკვე ამზადებს მოხსენებას აფხაზეთში საოკუპაციო რეჟიმის საბიუჯეტო პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ახლო მომავალში ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე მოვისმენთ. მოხსენების მომზადებისას თქვენც, ბატონო მურმან, კარგი იქნება გაეცნოთ 4 აგვისტოს ზემოხსენებულ შეთანხმებას, რომლის მთელი რიგი მუხლები და პუნქტები სწორედ საბიუჯეტო პოლიტიკას ეხება.

სხვადასხვა მიმართულებით ოკუპანტების პოლიტიკის უფრო სრულყოფილად შესწავლა და შეფასება აუცილებელია მათი ანტიხალხური, არა მხოლოდ ანტიქართული, არამედ ანტიაფხაზური, თავისი არსით ანექსიონისტური მიზნების მხილებისთვის ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე; შერიგების, დეოკუპაციისა და არაღიარების სახელმწიფო პოლიტიკის შემდგომი წარმატებისთვის. მუშაობა ამ მიმართულებით უკეთეს შედეგს გამოიღებს იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტები მას წარმართავენ აფხაზეთის შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად.

მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობა უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუცური მოვალეობაა. განვლილი სასესიო პერიოდის განმავლობაში ხშირად გვინახავს კომიტეტის სხდომებზე თუ მუშა თათბირებზე მოწვეული აფხაზეთის მთავრობის წევრები, სადაც იხილავდნენ სხვადასხვა საკითხებს დაწყებული განათლებით, ბიუჯეტით და ა. შ. პოლიკლინიკების გახმაურებული თემით დამთავრებული. ეს ყველაფერი ძალიან კარგია და მისასალმებელია. უმაღლესმა საბჭომ მოისმინა და დეტალურად განიხილა მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიში, ასევე მოვისმენეთ და სათანადო შეფასება მივეცით მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს. უმაღლეს საბჭოში შედგენილი და მთავრობასთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, საშემოდგომო სასესიო პერიოდის განმავლობაში, უფრო კონკრეტულად კი ამა წლის სექტემბერ-ნოემბერში დაგეგმილი გვაქვს ყველა სამინისტროს ხელმძღვანელის მოსმენა. სწორედ ეს არის მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა.

ალბათ, დაგვეთანხმებით, მუდმივი საქმიანი კომუნიკაცია მთავრობის წევრებთან მხოლოდ ხელს უწყობს შეთანხმებულ მუშაობას და ორივე შტოს გვეხმარება ხარვეზების, შეცდომების თავიდან აცილებაში. მთავრობის ნებისმიერი შეცდომა იმავდროულად ჩვენი შეცდომაც არის. ასე, მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის ინფორმაციაში რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებული 2021 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგების შესახებ, რომელიც ამა წლის ივლისის დასაწყისში შემოვიდა უმაღლეს საბჭოში, საუბარი არის სსიპ - პროგრამების სააგენტოში შესაბამისობის აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ. კერძოდ, ინფორმაციაში ნათქვამია, რომ მოქმედი 10 პროგრამიდან 4 ფაქტობრივად არ შესრულებულა, საბიუჯეტო სახსრები კი გაიხარჯა, რაც ჯამში 252 643 ლარს შეადგენს. შესაბამისი ინფორმაცია გადაგზავნილია გენერალურ პროკურატურაში. იმავე სსიპ - პროგრამების სააგენტოში ფინანსური აუდიტით გამოვლენილია ერთი და იმავე მიზნობრიობისა და შინაარსის მატარებელ ორ პროგრამასთან (ზუგდიდისა და ხობის რაიონებში სიმინდის მოყვანა) დაკავშირებით საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად გახარჯვის ფაქტი, რომელიც 2021 წლის დეკემბერში ასევე გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ამჯერად აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ. ამ ფაქტებთან დაკავშირებით ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ ჩადენილი სავარაუდო კანონდარღვევისთვის უმაღლესი საბჭო ვერ მოიხსნის პოლიტიკურ და მორალურ პასუხისმგებლობას. მოტანილი სამწუხარო ფაქტებიდანაც კარგად ჩანს ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობა, მთავრობის საქმიანობაზე უმაღლესი საბჭოს მხრიდან უფრო ეფექტიანი კონტროლის განხორციელების აუცილებლობა. შემთხვევითი არ გახლავთ

ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტში დღეს აქტიურად იხილება მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამკაცრების საკითხი. ვთხოვ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, თვალყური მიადევნოს ამ პროცესს, რათა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აღნიშნული კუთხით მიღებული გადაწყვეტილებები ჩვენც გავითვალისწინოთ.

უმაღლესი საბჭო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ამ ურთიერთობის ფორმების დახვეწას და სრულყოფას. ამ მიზნით აპარატში ფუნქციონირებს დევნილებთან, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. მისი უფროსი ქ-ნი ნანა კვარაცხელია გახლავთ. ამ სამსახურის შემადგენლობაში შეიქმნა ახალი სტრუქტურა - აფხაზეთიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან ურთიერთობის განყოფილება ბ-ნი გურამ მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით. განყოფილების ძალისხმევით ამა წლის აპრილ-ივლისში 39 ათასზე მეტი დევნილისთვის მობილური ოპერეტორების მეშვეობით გაგზავნილია შეტყობინები, რომლითაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს „ცხელი ხაზის“ არსებობის შესახებ თავისი სატელეფონო ნომრების მითითებით. საშემოდგომო სასესიო პერიოდში აუცილებლად გაგრძელდება მუშაობა ჩვენი დევნილი თანამოქალაქეებისთვის მსგავსი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში უმაღლესი საბჭოს „ცხელ ხაზზე“ შემოვიდა 670-მდე შეტყობინება სხვადასხვა საკითხებზე. განყოფილება ყველა შეტყობინებაზე ახდენს რეაგირებას, უფრო მეტად აღმასრულებელი ხელისუფლების მეშვეობით. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მიგვაჩნია განყოფილების ანგარიშის მოსმენა პრეზიდიუმის სხდომაზე, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლო რიცხვებში. ბ-ნ თამაზ ხუბუას ვთხოვ ცნობად მიიღოს აღნიშნული წინადადება.

უმაღლესი საბჭოს აპარატში ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტი ბ-ნ ხვიჩა ქარდავას ხელმძღვანელობით. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში დეპარტამენტი ჩვენს ვებ-გვერდზე სისტემატურად აშუქებდა უმაღლესი საბჭოს მუშაობას, გამოქვეყნებულია 120-ზე მეტი ინფორმაცია. სამწუხაროდ, ვებ-გვერდზე სათანადოდ არ შუქდება კომიტეტების მუშაობა, რაც უნდა გამოსწორდეს თავად კომიტეტებისა და დეპარტამენტის თანამშრომლობით. ნაკლებად შუქდება ცალკეული დეპუტატების აქტივობები, მათი მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში. დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის ანალიტიკური უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც ამზადებს და აქვეყნებს ანალიტიკურ დაიჯესტებს. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში გამოქვეყნებულია 100-ზე მეტი დაიჯესტი, რასაც მივესალმებით. იმედი მაქვს, მუშაობა ამ კუთხით დაიხვეწება და დაიჯესტებიც უფრო საინტერესო გახდება.

დევნილ საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ჰუმანიტარული აქცია, რომელსაც უკვე მესამე წელიწადია ვახორციელებთ უმაღლესი საბჭოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ დაფუძნებული ააიპ-ის „სოციალური სოლიდარობისათვის“ მეშვეობით. მისი ხელმძღვანელი კვლავაც ნანა კვარაცხელია გახლავთ. განვლილ სასესიო პერიოდში ჩვენი ხელფასებიდან განხორციელებული შენატანებით შეგროვდა 40 ათას ლარზე მეტი თანხა. ჰუმანიტარული დახმარება გაეწია 644 ოჯახს თბილისიდან, ბორჯომიდან, ზესტაფონიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, ფოცხო-ეწერიდან, დახმარება წავიდა ასევე ენგურსგაღმა. 2020 წლიდან დღემდე უმაღლესმა საბჭომ 140 ათასი ლარის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება მიაწოდა 3250-მდე ოჯახს, ანუ დაახლოებით 17 ათასს ადამიანს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყოველთვის აღვნიშნავდით და მინდა დღესაც აღვნიშნო აპარატის ახალგაზრდა თანამშრომელთა განსაკუთრებული დამსახურება ჰუმანიტარული აქციების ორგანიზებულად ჩატარებაში, რაც დაკავშირებულია დიდ პასუხისმგებლობასთან, ტონობით პროდუქციის შეძენა-დამუშავებასთან, საკმაოდ მძიმე ფიზიკურ შრომასთან. ააიპ-ის ხელმძღვანელს ქ-ნ ნანას ამ საქმეში გვერდში უდგანან ერთი და იგივე ადამიანები - ქ-ბი ნათია დარსანია, შორენა მირცხულავა, ბატონები გიგა შელია, თემურ ურიდია, ხვიჩა ქარდავა, ზურაბ ქეცბაია, ნიკა ქარდავა, გელა პაპასქუა. მინდა ვთხოვო კომიტეტების თავმჯდომარეებს, აპარატის უფროსს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩართონ ჰუმანიტარული აქციების ორგანიზებაში იმისათვის, რომ ის მძიმე ფიზიკური სამუშაო ყველამ გადავინაწილოთ. გასათვალისწინებელია, რომ ყოველი ასეთი აქცია იმავდროულად არის დევნილებთან შეხვედრა, კონკრეტულ ჩასახლებებში, კონკრეტულ ოჯახებში არსებული პრობლემების უშუალოდ გაცნობა და შემდგომში, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, მათზე რეაგირება. ჰუმანიტარული აქციები, ალბათ, ერთ-ორ კვირაში განახლდება და გაგრძელდება როგორც საშემოდგომო სასესიო პერიოდში, ისე შემდგომ წლებშიც.

უმაღლესი საბჭო ცდილობს მუდმივი კომუნიკაცია იქონიოს ენგურსგაღმა მოსახლეობასთან. ამისთვის ვიყენებთ სხვადასხვა ფორმებს და მეთოდებს. აპარატში დასაქმებული არიან ადამიანები, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. ენგურსგაღმა მოსახლეობასთან ურთიერთობის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ზემოხსენებული საპილოტე საგანმანათლებლო პროექტიც „ქართულენოვანი დისტანციური სინქრონული და ასინქრონული სწავლება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე“, რომელიც გაგრძელდება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავებას, ამ ურთიერთობის ახალ საფეხურზე აყვანას, უპირატესად დევნილი საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლების უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში, აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებაში ჩართვას ისახავს მიზნად, რეგლამენტში სპეციალურად შეტანილი ცვლილებების შესაბამისად,

თავმჯდომარესთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნა. მისი დაკომპლექტება ძირითადად დასრულებულია. საბჭოს შემადგენლობაში შედიან დევნილთა რიგებიდან ცალკეული მუნიციპალიტეტების საკრებულოებში არჩეული პირები, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს პირველი გაცნობითი ხასიათის სხდომაც ჩატარებულია. გვქონდა მუშა შეხვედრები მის ცალკეულ წევრებთანაც. საბჭო თავისი რეკომენდაციებითა და წინადადებებით ჩაერთვება უმაღლესი საბჭოს მუშაობაში, მათ შორის საკანონმდებლო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების განხილვაში. ერთ-ერთ ამოცანად დასახულია მომავალი აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის შექმნა საკუთარი ისტორიული გამოცდილებისა და თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის, დღეს არსებული რეალიების გათვალისწინებით. პირველ ეტაპზე ყურადღება გამახვილდება სწორედ მსოფლიო გამოცდილების საფუძვლიან შესწავლაზე. საბჭოს მორიგი სხდომა სექტემბრის ბოლომდე გაიმართება.

აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი, თუ გნებავთ, პროექტის ორი-სამი ვარიანტი ჩვენ დიდი ხნით ადრე უნდა შეგვექმნა, მაგრამ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ეს არა თუ ვერ გაკეთდა, თუმცა ამ საკითხზე სხვადასხვა დროს არაერთ ავტორს აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი მოსაზრებები, მათ შორის ჩვენს კოლეგებს. აფხაზეთში და მის ირგვლივ დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება, რუსეთის სავარაუდო და სასურველი დამარცხება დანაშაულებრივ ომში უკრაინის წინააღმდეგ, რის შედეგადაც მოსალოდნელია ძირეული გეოპოლიტიკური ძვრები ცივილიზებული სამყაროს სასარგებლოდ, დიდი ალბათობით, დღის წესრიგში დააყენებენ ე. წ. გაყინული კონფლიქტების, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის პრობლემას. ასეთი არც თუ ისე უსაფუძვლო მოლოდინიც პირდაპირ გვავალდებულებს, ვიყოთ მზად მოვლენების ნებისმიერი, მათ შორის სასიკეთო სცენარით განვითარებისთვის.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ბევრი ჩვენი თანამოქალაქე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოფიციალურ პირთა პრორუსულ რიტორიკას, გრძნობს, რომ სტატუს-ქვო დიდხანს ვერ შენარჩუნდება, რომ რუსეთის შესაძლო წარუმატებლობას უკრაინაში სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებები მოჰყვება. ადამიანების განწყობაზე გავლენას ახდენს აფხაზეთის მცოცავი ანექსიის პროცესი, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობს და იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილებას. როგორც ვიცით, საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია მოსკოვსა და სოხუმს შორის 2022 წლის 19 იანვარს დადებულმა „შეთანხმებამ“ ბიჭვინთის აგარაკების - სულ 186 ჰა ტერიტორიის, სადაც მდებარეობს ბიჭვინთა - მიუსერას ნაკრძალი, ასევე საზღვაო აკვატორიის რუსეთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. საზოგადოების შიშით „შეთანხმება“ მის ხელმომწერებს დიდხანს დამალული ჰქონდათ. ამჟამად დგას ამ ე. წ. შეთანხმების დე-ფაქტო

პარლამენტში „რატიფიკაციის“ საკითხი, რასაც ეწინააღმდეგება ყველა, გარდა მმართველი ჯგუფისა. ამა წლის 17 აგვისტოს ბატონმა ა. ბჟანიამ საზოგადოებრივი პალატის წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მიიღო წერილი რუსეთის „ელჩისგან“ (მიხეილ შურგალინი), რომელიც იმუქრება, რომ ბიჭვინთის აგარაკების თაობაზე შეთანხმების რატიფიკაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, რუსეთი გადახედავს თავის ვალდებულებებს და ისიც უარს იტყვის აფხაზეთისთვის ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების აღმოჩენაზე. 26 აგვისტოს ე. წ. ელჩმა რია-ნოვოსტისთვის მიცემულ ინტერვიუში გაიმეორა იგივე მუქარა - განაცხადა, რომ „შეთანხმების“ რატიფიკაციის გაჭინაურება გავლენას მოახდენს ინვესტიციებზე, ისეთი მსხვილი პროექტების განხორციელებაზე, როგორიცაა აეროპორტის აღდგენა, ტურისტული ობიექტების მშენებლობა, რკინიგზის რეკონსტრუქცია და ა. შ. რუსული ინვესტიციებისა და ფინანსური დახმარების გარეშე კი აფხაზეთი უბრალოდ ვერ იარსებებს. თავის ინტერვიუში მ. შურგალინი აფხაზურ მხარეს იმითაც „აშინებდა“, რომ „ენგურს გაღმა“ ხდება ბიჭვინთის თემის მუსირება საკუთარი ინტერესებისთვის.

ე. წ. ელჩის მუქარებმა კიდევ უფრო დაძაბეს პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში. ვეტერანთა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ „აიააიარამ“ მეორე დღესვე, 27 აგვისტოს, გამოაქვეყნა მწვავე განცხადება მ. შურგალინის წინააღმდეგ. 29 აგვისტოს ის შეხვდა „საელჩოში“ ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ასევე ბიჭვინთის გასხვისების წინააღმდეგი არიან. აღნიშნულ შეხვედრაზე რუსეთის „ელჩმა“ ამ საკითხს ლაკმუსის ქაღალდი უწოდა, ვინაიდან ბიჭვინთის თაობაზე შეთანხმების „რატიფიცირება“, მისი აზრით, ბიძგს მისცემს რუსეთის მოქალაქეებისთვის მიწისა და უძრავი ქონების მიყიდვის საკითხის გადაწყვეტასაც. ამიტომაც არის რუსული მხარე ასე დაინტერესებული ბიჭვინთის აგარაკების ხელში ჩაგდებით. ქალთა ორგანიზაციასთან შეხვედრაზე მ. შურგალინმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი მუქარები ინვესტიციების შეჩერების თაობაზე და დაამატა, რომ ბიჭვინთის აგარაკები თუ არ იქნება რუსეთისთვის გადაცემული, მაშინ დადგებოდა საკითხი აფხაზეთიდან სამხედრო ბაზის, მიაქციეთ ყურადღება, არც მეტი, არც ნაკლები, სამხედრო ბაზის გაყვანის შესახებ. ილუზიები ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ არარსებულ სახელმწიფოში ცრუელჩობის მიუხედავად, შურგალინი საკმაოდ გამოცდილი, მაღალი რანგის დიპლომატი და აფხაზეთის პრობლემის ზედმიწევნით მცოდნე პიროვნებაა. ასეთი ადამიანები კი ზედმეტს ან შემთხვევით არაფერს იტყვიან.

ბიჭვინთის თემამ კიდევ ერთხელ ნათელი გახადა რუსეთის ნამდვილი ზრახვები აფხაზეთთან დაკავშირებით. მოსკოვმა წლების განმავლობაში მიზანმიმართულად გაამათხოვრა თავის დროზე უმდიდრესი მხარე - აფხაზეთი, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც დაიქვემდებარა იგი და დღეს ოსტატურად იყენებს

მის მიერვე ხელოვნურად, სპეციალურად შექმნილ ეკონომიკურ და სამხედრო ბერკეტებს ავტონომიური რესპუბლიკის დასაჩოქებლად, ანექსიის პროცესის დასაჩქარებლად. აფხაზური მხარის საყურადღებოდ მინდა გავიმეორო ამ დღეებში გასაგებად გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსთის „ელჩის“ მუქარების განხორციელება აფხაზეთს ვერანაირად ვერ დააზიანებს, ვერ დააზარალებს. „განაწყენებული“ მოსკოვი გაიყვანს თავის სამხედრო ბაზას ოკუპირებული აფხაზეთიდან თუ არ გაიყვანს, საქართველო ყველა შემთხვევაში გააგრძელებს დიდი ხნის წინ მყარად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულ თავის სამშვიდობო პოლიტიკას აფხაზეთთან მიმართებაში. რუსული სამხედრო ბაზის გაყვანა ანუ დეოკუპაცია, რაც ისედაც არის საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, მხოლოდ გაზრდის, მხოლოდ განამტკიცებს აფხაზეთის უსაფრთხოებას და შექმნის წინაპირობას კონფლიქტის დარეგულირებისათვის. ანექსიისკენ მიმართული რუსული დაფინანსების შეწყვეტისა და იგივე მიზნების მქონე ინვესტიციების შეჩერების შემთხვევაშიც საქართველო, დარწმუნებული ვართ, ყოველგვარი წინაპირობების წამოყენების გარეშე აფხაზი ხალხის გვერდით დადგება. მისასალმებელია, რომ ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრებმა - აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, კანადამ, უკრაინამ, პოლონეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა - სულ 17 სახელმწიფომ ამა წლის 2 სექტემბერს გაკეთებულ განცხადებაში დაგმეს რუსეთის მიერ სოფელ აიბღისა და კურორტ ბიჭვინთის დაუფლების მცდელობები, რაც ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებად არის შეფასებული.

აქვე მინდა მოკლედ მოგახსენოთ აშკარად ანექსიონისტური ხასიათის კიდევ ერთი დოკუმენტის შესახებ, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ - მიმდინარე წლის 4 აგვისტოს რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოსკოვში გაფორმებული „შეთანხმების“ თაობაზე 2022-2025 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციაში ხელშეწყობის შესახებ. თვითონ ის ე. წ. პროგრამა აფხაზეთის დე-ფაქტო მმართველობამ 2021 წლის 15 დეკემბერს დაამტკიცა და მთლიანად რუსეთის დახმარებაზეა გათვლილი. ჩვენ მაშინვე გამოვთქვით ვარაუდი, რომ 2022-2025 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამა მიბმული იქნებოდა იმ ყბადაღებული 45 პუნქტიანი „პროგრამის“ შესრულების მიმდინარეობაზე. სხვათა შორის, დღეისათვის იმ 45 პუნქტიდან თითქმის ნახევრი უკვე უნდა იყოს შესრულებული, სინამდვილეში კი აფხაზურ მხარეს ჯერ არც ერთი პუნქტი არ შეუსრულებია, თუმცა დიდი ხანია გვესმის, რომ ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს და ცალკეულ საკითხებზე რაღაც პროექტებიც თითქოს მომზადებულია, რომლებიც ჯერ არავის უნახავს.

ახლად გამომცხვარი „შეთანხმებაც“ 2022-2025 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციაში ხელშეწყობის

შესახებ პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა 45 პუნქტიან „პროგრამასთან“. „შეთანხმება“ საკმაოდ ვრცელია და ძალიან ზოგადი. რუსეთი იღებს ვალდებულებას ფინანსურად შეუწყოს ხელი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ფინანსების ხარჯვას უმკაცრესად გააკონტროლებს რუსული მხარე. „შეთანხმებაში“ ყველაზე საინტერესოა მეორე მუხლი, სადაც ჩამოწერილია აფხაზური მხარის ვალდებულებები. რა არის აფხაზური მხარის მთავარი ვალდებულება, რათა რუსეთმა ინებოს 2022-2025 წლებზე გათვლილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ე. წ. სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციაში ხელშეწყობა? როგორც თავის დროზე ვივარაუდეთ, როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზური მხარის უპირველესი ვალდებულებაა 45 პუნქტიანი პროგრამის შესრულება! ვფიქრობთ, კომენტარები აქ ზედმეტია. როცა კითხულობ 4 აგვისტოს „შეთანხმებას“, უნებლიედ გახსენდება საბჭოთა კავშირი, გახსენდება ცეკას და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებები ამა თუ იმ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ. ფაქტობრივად გაფორმებულია „შეთანხმება“ ცენტრსა და რეგიონს შორის. ალბათ, ამიტომაც არ არის ის დღემდე გამოქვეყნებული, თუმცა ჩვენი სპეციალისტებისთვის ეს არ გახლავთ გადაულახავი პრობლემა. სავარაუდოდ, 4 აგვისტოს „შეთანხმებასაც“ დე-ფაქტო პარლამენტის „რატიფიკაცია“ დასჭირდება, რაც საზოგადოების უკმაყოფილების ახალ ტალღას გამოიწვევს.

ბოლო დღეების განმავლობაში სოხუმში აქტიურად იხილება ენგურის ხიდის გავლით ტვირთების ტრანზიტის საკითხი, თანაც საქონლის სერტიფიცირება თითქოს მოხდება მათი დე-ფაქტო კანონებისა და წესების მიხედვით, ტრანზიტის გადასახადიც აფხაზეთში უნდა გადაიხადონ. ეჭვსგარეშეა, მოსკოვის დავალების გარეშე სეპარატისტული ხელისუფლება ამ საკითხს არ და ვერ წამოწევდა. აფხაზური მხარის აღიარებით, 2022 წლის თებერვლიდან თურქული ტვირთების ტრანზიტი ისედაც ხორციელდება - ყოფილა 9 შემთხვევა, როდესაც ტვირთები შემოვიდა სოხუმის პორტში და იქიდან სატვირთო ავტომანქანებით გადავიდა რუსეთში. ცხადია, აქ საქმე გვაქვს სანქციების გვერდის ავლის კონკრეტულ მაგალითთან, მაგრამ სანდო და საკმარისი მონაცემების უქონლობის გამო, ვერ გავაკეთებთ საბოლოო დასკვნებს, რას შეიძლება ნიშნავდეს სოხუმიდან წამოსული ინიციატივები. მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ალბათ, დავეთანხმებოდით, შვეიცარიის შუამავლობით, საქართველოსა და რუსეთს შორის „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ” ჯერ კიდევ 2011 წლის 9 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების იმპლემენტაციას. ხელშეკრულების გაფორმება, როგორც ცნობილია, უკავშირდებოდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე საქართველოს თანხმობას. მოგვიანებით, 2017 წლის 19 დეკემბერს საქართველომ და 2018 წლის 18 მაისს რუსეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას

შვეიცარულ კომპანიასთან (SGS – General Societu Surveillance), რომელიც მოახდენდა რუსეთსა და საქართველოს შორის ტვირთბრუნვის სრულ ადმინისტრირებას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე, ასევე ზემო ლარსის გამშვებ პუნქტზე. შეთანხმების მიხედვით, შვეიცარიელი მონიტორები უნდა განთავსდნენ ზუგდიდთან და ადლერთან, გორთან და როკის გვირაბის ჩრდილოეთით, ზემო ლარსთან და ყაზბეგთან (სტეფანწმინდასთან). აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი შეთანხმებაში მოიხსენიებიან როგორც „სავაჭრო დერეფნები". რუსეთის პოზიციის გამო, აღნიშნული შეთანხმებები ჯერჯერობით ქაღალდზე რჩება. თუ მათ ამოქმედებაზეა საუბარი, მაშინ ეს მისაღები უნდა იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, სოხუმში გაჟღერებული ინიციატივის განხილვაც კი უაღრესად მცდარი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნებოდა - როგორც ვხედავთ, არც არავინ იხილავს.

ასეთია ზოგადი პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში. ვფიქრობთ, აფხაზური მხარე ხვდება ან უნდა ხვდებოდეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია; რომ ოკუპანტი სახელმწიფოს მიზანი სრულიად საპირისპიროა - ეს არის მიწების, უძრავი ქონების, მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების ხელში ჩაგდება, დემოგრაფიული უპირატესობის მოპოვება, ერთი სიტყვით, ანექსიისთვის აუცილებელი წინაპირობების შექმნა. შესაბამისად, დღეს თუ არა, ხვალ აფხაზ ხალხს მოუწევს არჩევანის გაკეთება უკიდეგანო რუსულ ჭაობში გარდუვალი შთანთქმისა და სისხლით მონათესავე ქართველ ხალხთან ერთად ცივილიზებულ ევროპულ ოჯახში ყოფნის ორ სრულიად განსხვავებულ პერსპექტივას შორის.

ჩვენი ვალია, დავეხმაროთ აფხაზებს სწორი არჩევანის გაკეთებაში ნდობის აღდგენის, შერიგების, დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის, სხვა სამთავრობო პროგრამების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობით. უმაღლესი საბჭოს კომიტეტები ყოველდღიურ მუშაობას ეწევიან ამ და სხვა მიმართულებებით, რაზეც თავის დროზე კომიტეტების პატივცემული თავმჯდომარეები ისაუბრებენ. ჩვენ კი ყურადღებას გავამახვილებთ ორ მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებზეც დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა და რომელთა გადაჭრამ ხელი უნდა შეუწყოს ნდობის აღდგენასაც, შერიგებასაც, აფხაზეთის დეოკუპაციასაც.

პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს საქართველოს პარლამენტში ჯერ კიდევ ორი წლის წინ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტი მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. შეგახსენებთ, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურების რამდენადმე გამარტივებას. მთელ რიგ ჩვენზე დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, აღნიშნული კანონპროექტის განხილვა ჯერაც არ დაწყებულა.

დრო კი მხოლოდ მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მუშაობს. მიმდინარე წლის საგაზაფხულო სესიის გახსნისას გაკეთებულ მიმართვაში დაწვრილებით იყო საუბარი იმის შესახებ, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს რუსეთის ფედერაცია „სახელმწიფოებრივი კუთვნილება შეცვლილ“ ანუ დაპყრობილ ტერიტორიებზე, მათ შორის აფხაზეთში მცხოვრებთათვის მოქალაქეობის მინიჭების გამარტივების საკითხს. ქართულ მხარეს კი ამ დროს, - ითქვა მაშინ, - ჯერ არ თუ ვერ შეუქმნია „სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა იმისათვის, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული ჩვენი ძირძველი ტერიტორიების მოსახლეობას მაქსიმალურად გავუმარტივოთ მოქალაქეობის მიღება თუ აღდგენა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში დაბრუნება“. სამწუხაროდ, ეს პრობლემა კვლავაც პრობლემად რჩება. მომავალში ის მხოლოდ გამწვავდება იმის გამოც, რომ ამასწინათ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ევროკავშირი არ აღიარებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემულ პასპორტებს.

არანაკლებ მწვავედ დგას აფხაზეთიდან ლტოლვილთა და სამშობლოში დაბრუნების მსურველებისათვის მოქალაქეობის აღდგენის საკითხიც. არაერთი შემთხვევა ვიცით, როდესაც აფხაზეთში დაბადებულებს, მათ შორის ომში მონაწილეობისთვის სახელმწიფო ჯილდოს მქონე ადამიანებს, მათ შთამომავლებს, რომლებსაც საკუთარი ნების წინააღმდეგ, იძულებით მოუწიათ საქართველოს დატოვება და რომლებმაც ფიზიკური გადარჩენის მიზნით ასევე იძულებით მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, დღეს უარს ვეუბნებით საქართველოს მოქალაქეობის აღდგენაზე; აფხაზეთიდან ლტოლვილებს შორის არც თუ ისე იშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართული ოჯახები ვერ ახერხებენ საქართველოში გაერთიანებას; მაგალითად, ცოლს ენიჭება მოქალაქეობა, ქმარს - არა ან პირიქით; მამას ან დედას ვუბრუნებთ მოქალაქეობას - შვილს არა, და ასე შემდეგ. მსგავს საკითხებზე, როგორც ცნობილია, მრავალი განცხადებაა შემოსული უმაღლეს საბჭოში დახმარების, შესაბამისი ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურების წინაშე შუამდგომლობის თხოვნით. შეუძლებელია ემოციების გარეშე წაიკითხო აფხაზეთიდან ლტოლვილის, 1923 წელს სოხუმში დაბადებულის, ჯანდაცვის მუშაკის ქალბატონ ოლღა ბიგვავას წერილი. მალე მას 100 წელი შეუსრულდება. ლტოლვილობა ჯერ თბილისში, შემდეგ კი პეტერბურგში გაატარა, საიდანაც 4 წლის წინ დაბრუნდა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობას დღემდე ვერ ეღირსა. ქალბატონ ოლღას თხოვნა არ არის ბინის ან შემწეობის მიღება, არამედ, როგორც თვითონ წერს: „გულწრფელად არ მინდა მივებარო ქართულ მიწას საქართველოს მოქალაქეობის გარეშე“.

კომენტარებისაგან თავს შევიკავებთ, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა და აფხაზეთიდან ლტოლვილთა შორის სულ უფრო და უფრო მატულობს საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მსურველთა რიცხვი. სასიხარულოა, რომ ეს ტენდენცია, ეს ჯანსაღი პროცესი, არსებული საერთაშორისო

ვითარებიდან გამომდინარე, გაგრძელდება. ამავე დროს სამწუხაროა, რომ დღემდე ვერ შეგვიქმნია ამ სრულიად ბუნებრივი და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი პროცესის ადექვატური საკანონმდებლო ბაზა. ალბათ, უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას გვმართებს ბევრად უფრო მეტი ძალისხმევა, რათა მივაღწიოთ არსებული კანონმდებლობის სრულყოფას, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად წინაპირობების შექმნას.

მეორე საკითხი, რომელიც ასევე უაღრესად აქტუალურია და აფხაზეთის დეოკუპაციის ხელშეწყობისკენ არის მიმართული, ეხება დევნილთა უძრავი ქონების რეგისტრაციის დღემდე გადაუჭრელ პრობლემას. უმაღლესი საბჭოდან საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში წარდგენილ წერილებში და მოხსენებით ბარათებში დასაბუთებულია, რომ ჩვენი საკუთრება აფხაზეთში დღეს სამუდამოდ დაკარგვის საფრთხის წინაშეა; რომ აუცილებელია საქართველოს მთავრობის 2018 წლის №400 დადგენილების გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა და საჯარო რეესტრში დევნილთა უძრავი ქონების რეგისტრაციის დაშვება; რომ დევნილთა უძრავი ქონების რეგისტრაციის წინააღმდეგ ადრე არსებული საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტები დიდი ხნის წინ მოხსნილია. ხსენებული დადგენილება, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს მხოლოდ უძრავი ქონების დეკლარირებას და აღრიცხვას. აღნიშნულ სამუშაოს აწარმოებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელსაც მიაწვდის დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. ამასთანავე, მთავრობის იმავე №400 დაგენილების თანახმად, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია საჯარი რეესტრის ეროვნული სააგენტოსაგან მიიღოს სათანადო ცნობა აღრიცხული ქონების შესახებ. გარდა იმისა, რომ დეკლარირება-აღრიცხვის პროცესი კუს ნაბიჯებით მიმდინარეობს და დღევანდელი ტემპებით მის დასრულებას ათწლეულები დასჭირდება, მიუღებელია აღრიცხვის ფორმაც და შინაარსიც. დეკლარირება-აღრიცხვის დოკუმენტის ყველაზე მთავარი, რბილად რომ ვთქვათ, ხარვეზი გახლავთ ის, რომ მასში აღნიშნული არ არის აღრიცხული ქონების სამართლებრივი კავშირი მითითებულ ფიზიკურ პირთან. დოკუმენტიდან არ დგინდება თუ რა სამართლებრივი ფორმით ეკუთვნოდა და ეკუთვნის ფიზიკურ პირს კონკრეტული უძრავი ნივთი, არის თუ არა ის პირი უძრავი ნივთის კანონიერი მესაკუთრე, კანონიერი მოსარგებლე. ამ დროს სწორედ აღნიშნულ გარემოებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დევნილთა დარღვეული ქონებრივი უფლებების დაცვის პროცესში.

აღრიცხული ქონების შესახებ გასაცემი ცნობის სქოლიოში გაკეთებულია ისეთი შენიშვნები, რომელთა ნაწილი დევნილთა ქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით სრულიად უსარგებლოს ხდის დეკლარირება-აღრიცხვის მთელ პროცესს. სქოლიოში ვკითხულობთ, რომ უძრავი ქონების აღრიცხვა არ ნიშნავს ამ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას და კიდევ უარესი - აღრიცხული

ქონების ფართი შეიძლება განსხვავდებოდეს საკადასტრო აზომვით ნახაზსა და საკუთრების ან მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული ფართობებისაგან. ერთი სიტყვით, ცნობიდან აღრიცხვის შესახებ არ ჩანს ვის ეკუთვნის აღრიცხული უძრავი ქონება და რამდენია ამ ქონების ფართი. გაუგებარია, რა ფასი აქვს ასეთ ცნობას და სად უნდა წარადგინო მსგავსი დოკუმენტი. ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო სასამართლოში მას ვერ წარადგენ, არავინ მიიღებს.

რადგანაც საერთაშორისო სასამართლო ვახსენეთ, ვიტყვი იმის შესახებაც, რომ საქართველოს სახელით სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ოკუპანტი სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილია სარჩელი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად აფხაზეთიდან დევნილთა უძრავი ქონების ბედსაც ეხება. უმაღლესი საბჭო თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, რომელსაც, მისივე თხოვნით, უკვე მიეწოდა მასალები, კერძოდ, საბჭოთა პერიოდში კონკრეტული პირებისთვის კერძო სახლზე თუ სხვა საცხოვრებელ ფართზე გაცემული საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამ მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა, რომელსაც ბატონი ირაკლი დბარი წარმართავს.

ცხადია, დეკლარირება-აღრიცხვის შედეგად შედგენილი დოკუმენტები არსად არ თუ ვერ იქნება წარდგენილი. მიუხედავად დაბრკოლებებისა, ხელოვნური ბარიერებისა, დროის გაჭიანურებისა, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა, უნდა მივაღწიოთ დევნილთა უძრავი ქონების რეგისტრაციის დაშვებას. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, აუცილებელია კოორდინაცია აფხაზეთის მთავრობასთან და, რა თქმა უნდა, ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

უმაღლესი საბჭოს მუშაობის მეტი ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ ციფრულ ეპოქაში მუდამ ექნება საინფორმაციო პოლიტიკას, იდეოლოგიურ და პროპაგანდისტულ მუშაობას. დევნილი ხელისუფლებისათვის, რომლის სამოქმედო ტერიტორია უცხო ქვეყნის მიერ არის ოკუპირებული და მისი ანექსიითაც გვემუქრებიან, ორმაგად და სამმაგად აუცილებელია ასეთი საქმიანობის ინტენსიფიკაცია და მუდმივი სრულყოფა. ამ საკითხში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტს, რომლის გამგებლობაშია უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდი. ვხედავთ, თანდათანობით როგორი მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება ვებ-გვერდი, რომელიც ჩვენთვის ინფორმაციის გავრცელების მთავარ წყაროს წარმოადგენს, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. იმედი მაქვს, მუშაობის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება ახლახან საკმაოდ ძვირადღირებული თანამედროვე ტექნიკის შეძენაც.

გრძელდება თანამშრომლობა საინფორმაციო სააგენტო „თაიმერთან“, მედიაცენტრ „მთავართან“, მედიაჰოლდინგ „კვირის“ პრესკლუბთან. მათი მეშვეობით ტარდება

ბრიფინგები აფხაზეთთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე, ვრცელდება ჩვენი განცხადებები, დადგენილებები და სხვა სახის ინფორმაცია. ძალიან გვეხმარება აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი. არ შემიძლია სიმოვნებით არ აღვნიშნო ბ-ნ მურმან კვარაცხელიას მიერ ტელეწამყვანის ფუნქციის შესანიშნავად შეთავსება და ტელეკომპანია "ქართულ TV"-ზე ყოველკვირეულად საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებების მონაწილეობით საინტერესო გადაცემების ორგანიზება რუბრიკით „ჩემო აფხაზეთო". დღეს მივიღე სასიამოვნო ინფორმაცია, ამის შესახებ უფრო კონკრეტულად მთავრობის თავმჯდომარე იტყვის - ალბათ, მალე გვექნება საკუთარი ტელევიზია და რადიო.

იდეოლოგიური მუშაობა წარმოუდგენელია მასში სამეცნიერო პოტენციალის, ინტელექტუალური ძალების ჩართულობის გარეშე. ამიტომაც გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა სოხუმის უნივერსიტეტთან, რომელთანაც ერთად ამ სასესიო პერიოდში ჩატარდა აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პრაქტიკული კონფერენცია. ახალი სასესიო პერიოდის განმავლობაში იგეგმება ისევ და ისევ ჩვენი უნივერსიტეტის ეგიდით კიდევ ერთი, ამჯერად უკვე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, რომელიც მიეძღვნება რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინაში ჩადენილი დანაშაულის ერთიან კონტექსტში განხილვას და შეფასებას. ერთი სიტყვით, ჩვენი სურვილია კონფერენციის გამართვა „უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შესახებ" უმაღლესი საბჭოს მიერ ამა წლის 8 აპრილს მიღებული დადგენილების სულისკვეთებით ქართველი, უკრაინელი და სხვა ევროპელი მეცნიერების მონაწილეობით. როგორც დადგენილების, ისე დაგეგმილი კონფერენციის და ამ კუთხით შემდგომში განსახორციელებული სხვადასხვა აქტივობების მიზანი არის და იქნება აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდის, მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ფაქტის რაღაც ფორმით ასახვა იმ გამოძიების მასალებში, რომელსაც საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ინიციატივით განახორციელებს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორი. ვფიქრობთ და სპეციალისტებიც გვიდასტურებენ, რომ ეს შესაძლებელია, რადგანაც გამომძიებელი ვალდებულია დაინტერესდეს დანაშაულის გენეზისით - საიდან დაიწყო ის და როგორ განვითარდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მიზნის მისაღწევად წინ ბევრი, ძალიან ბევრი სამუშაო გველის.

მიმართვის დასკვნით ნაწილში შევეხებით გარკვეულ ორგანიზაციულ და სხვა შიდა საკითხებს. ჯერ კიდევ 2020 წლიდან დაგეგმილი გვქონდა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლა, რაც ვერ მოხერხდა პანდემიის, კომპიუტერების ნაკლებობისა და ოფისის საკითხის მოუგვარებლობის გამო. დღეისათვის ყველა ეს დამაბრკოლებელი გარემოება მოხსნილია და 2023 წლის იანვარ-თებერვლიდან უმაღლესი საბჭო, მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ ამჯერად აუცილებლად

გადავა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე. ამასთან დაკავშირებული ორგანიზაციული, ფინანსური და სხვა საკითხები თითქოს მოგვარებულია. ელექტრონული საქმისწარმოების შემოღებაზე პასუხისმგებელია აპარატის უფროსი ბატონი ზურაბ მებონია, კონტროლი - ბატონმა თამაზ ხუბუამ უნდა განახორციელოს. მოულოდნელობებისაგან სრულად დაზღვეული რომ ვიყოთ, ალბათ, მოგვიწევს სექტემბრის ბოლომდე ან ოქტომბრის დასაწყისში ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე ან პრეზიდიუმზე აღნიშნული საკითხის განხილვა.

უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის ზედმიწევნით დაცვა, გაწეული ხარჯების მიზნობრიობაზე, ეფექტიანობასა და კანონიერებაზე უმკაცრესი კონტროლი, რათა აბსოლუტურად გამოირიცხოს მცირე გადაცდომაც კი, რომ არაფერი ვთქვათ დანაშაულზე. შეიძლება ბევრი რამ აპატიო საჯარო მოხელეს, თანამდებობის პირს, მაგრამ ფინანსურ სფეროში მცირე, თუნდაც უმნიშვნელო გადაცდომაც კი არავის ეპატიება და ნებისმიერ პიროვნებას ასეთი გადაცდომა, სულ ცოტა, თანამდებობის ფასად დაუჯდება. საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დაცვაში, რა თქმა უნდა, ძალიან გვეხმარება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადებული შესაბამისი დასკვნები და შენიშვნები. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც შეუძლებელია აუდიტის ცალკეული შენიშვნების სრულად გაზიარება. ასე, მაგალითად, ზემოხსენებულ დოკუმენტში - რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვასთან და შესრულებასთან დაკავშირებული 2021 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგების შესახებ ინფორმაციაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ გაკეთებულ დასკვნაში საუბარია იმის შესახებ, რომ აფხაზეთის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის მიხედვით, თითქმის ყველა მხარჯავ დაწესებულებაში, მათ შორის უმაღლეს საბჭოში, სახელფასო ფონდი გაზრდილია, რაც ეწინააღმდეგება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონს.

რა შეიძლება ითქვას ამ შენიშვნასთან დაკავშირებით? ჯერ ერთი, 2020 წელს უმაღლეს საბჭოს არ მოუთხოვია ხელფასების გაზრდა, ასეთი განაცხადი არ არსებობს. მეორეც, როცა უმაღლეს საბჭოში განსახილველად შემოვიდა 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი აფხაზეთის თითქმის მთელს სახელისუფლებო სისტემაში გაზრდილი სახელფასო ფონდით, გვქონდა ინფორმაცია და დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ აფხაზეთის მთავრობას საკითხი შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, როგორც ამას ზემოხსენებული კანონი ითვალისწინებს. ეს რწმენა იმანაც განუმტკიცა დეპუტაციას, რომ 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტზე აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში არაფერი იყო ნათქვამი სახელფასო ფონდის ზრდის კანონიერება-უკანონობის თაობაზე. მინდა კოლეგებს

შევახსენო, რომ ჯერ კიდევ 2019 წელს არაერთგზის მივიღეთ შეთავაზება უმაღლესი საბჭოს სპიკერატისთვის ხელფასების მომატების შესახებ, როგორც ეს გაკეთდა მაშინ აფხაზეთის მთავრობაში. სწორედ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, შემოთავაზებაზე ჩვენი პასუხი იყო უარყოფითი. როდესაც უმაღლესი საბჭო იხილავდა და ამტკიცებდა 2020 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს, მის პროექტზე აუდიტის დასკვნის გარდა, სადაც არაფერი იყო ნათქვამი სახელფასო ფონდის თაობაზე, ჩვენ გავითვალისწინეთ აუდიტის კიდევ ერთი დასკვნა 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ აფხაზეთის მთავრობის ანგარიშზე - საუბარია ცხრა თვის შედეგებზე. აღნიშნულ დოკუმენტშიც არაფერი იყო ნათქვამი სახელფასო ფონდის გაზრდის მომხდარი ფაქტის კანონთან შეუსაბამობაზე. 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას უმაღლესი საბჭო, როგორც ყოველთვის, დაეყრდნო აუდიტის დასკვნებს. ასეთია ჩვენი პასუხი ზემოაღნიშნულ შენიშვნაზე, რომელიც მთლიანად აფხაზეთის ხელისუფლებას ეხება, თუმცა არ ვაპირებთ არც თავის მართლებას და არც ამ საკითხზე დისკუსიის გამართვას. აუდიტის დეპარტამენტი, ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ მადლობას იმსახურებს შენიშვნისთვის, რომელიც შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ნაწილობრივ მაინც უნდა მივიღოთ. აქვე გავიმეორებთ ადრეც გაკეთებულ თხოვნას დეპარტამენტისადმი იმის თაობაზე, რომ მომავალ დასკვნებში გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს არა მხოლოდ კანონდარღვევების გამოვლენას, არამედ მათ პრევენციასაც.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის ინფორმაცია რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებული 2021 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგების შესახებ შეიცავს კიდევ ერთ შენიშვნას. მასში უმაღლესი საბჭო მოხსენიებულია იმ მხარჯავი დაწესებულებების ჩამონათვალში, რომლებიც ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან არ მოითხოვენ ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს თაობაზე. აღნიშნულ შენიშვნას ვერ დავეთანხმებით. აქ არ შემიძლია არ გავიხსენო 2019 წლის მაისი თუ ივნისი, როდესაც ახალი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ეცნობოდა უმაღლეს საბჭოში არსებულ ვითარებას, სწავლობდა პრობლემურ საკითხებს, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საქმიანობას. აღმოჩნდა, რომ ამ პირებს მართლაც არ ევალებოდათ მათი საქმიანობის დამადასტურებელი ანგარიშების ან რაიმე სახის დოკუმენტაციის წარმოდგენა, რაც სერიოზულ ხარვეზად მივიჩნიეთ. აღნიშნულის თაობაზე ვესაუბრეთ ბატონ ნოდარ ჯავახიშვილს. მისი დავალებით, იმავე დღეს უმაღლეს საბჭოში მობრძანდა ბ-ნი ნოე ქაშიბაძე დეპარტამენტის ერთ-ერთ თანამშრომელთან ერთად. აპარატში ისინი გაეცნენ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დოკუმენტაციას, ამის შემდეგ იყო შეხვედრა ჩვენთან. კარგად მახსოვს ბ-ნი ნოეს სიტყვები, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების

ანგარიშების წარმოდგენა სულაც არ იყო სავალდებულო, შესაბამისად, არანაირი ხარვეზი ამ საკითხში თითქოს არ არსებობდა. ასეთ პოზიციას ჩვენ არ დავეთანხმეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შრომითი ხელშეკრულებით უმაღლეს საბჭოში დასაქმებულ ყოველ თანამშრომელს, მძღოლებისა და ფრაქციათა სპეციალისტების გარდა, აპარატისთვის უნდა ჩაებარებინა ყოველთვიური ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. როგორც აპარატი მოგვახსენებს, გადაწყვეტილება ზედმიწევნით სრულდება. ყოველივე ამის შემდეგ, გაუგებარია, როგორ მოხვდა უმაღლესი საბჭო იმ დაწესებულებათა ჩამონათვალში, რომლებიც ხელშეკრულებით დასაქმებულებისაგან ანგარიშებს არ ითხოვენ. იმედი მაქვს, მსგავსი მცირე გაუგებრობები მომავალში აღმოიფხვრება.

მიმართვას დავასრულებთ მტკიცე რწმენით, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საშემოდგომო სასესიო პერიოდშიც იქნება მოწოდების სიმაღლეზე, რათა გაუმკვლავდეს არსებულ გამოწვევებს და გააგრძელოს მშვიდობიანი ბრძოლა აფხაზეთისათვის. ეჭვიც არ გვეპარება, დეპუტატთა კორპუსი გააკეთებს ყველაფერს უფლისა და ისტორიის მიერ ჩვენზე დაკისრებული უმძიმესი და ამასთანავე საპატიო მისიის შესასრულებლად.

გმადლობთ ყურადღებისთვის.

2022 წლის 6 სექტემბერი.